სახელმწიფო შესყიდვებისათვის მოსამზადებელი დოკუმენტაციის, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი

ოქმი №3

ქ. მცხეთა 08 ივნისი 2011 წელი

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

| | | |
|---|---|---|
| თეიმურაზ აბაშიძე | – | მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი -კომისიის თავმჯდომარე; |
| ლერი ტყემალაძე | – | ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი-კომისიის თავმჯდომარის მოადგილე; |
| სოფიო მამისაშვილი | – | საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი სპეციალისტი-კომისიის მდივანი; |
| მარინე სოხაშვილი | – | ადმინისტრაციული სამსახურის, იურიდიული განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი; |
| ილია ჯიშკარიანი | – | ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, ქონების აღრიცხვის, მართვის და სტატისტიკის განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი; |
| ზურაბ მარსაგიშვილი | – | ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი; |
| გიორგი პაპაშვილი | – | საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების მთავარი სპეციალისტი- კომისიის წევრი; |

| | | |
|---|---|---|
| ილია ციციშვილი | – | საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, ბიუჯეტის დაგეგმვის განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი; |
| მერაბ თუხარელი | – | საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი; |
| ილია ოდიშელიძე | – | მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსი–კომისიის წევრი; |

დღის წესრიგი:

მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2011 წლის 05 მაისს გამოცხადებულ №55 საკონკურსო განაცხადზე (მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მუხათგვერდიდან, ცენტრალური გზიდან ქ. მცხეთის, ფარნავაზის მოედნამდე გარე განათების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესადგენად) კონკურსანტების: შპს „გზაპროექტი“-ს და ინდ. მეწარმე „გიორგი არდაზიანი“-ს მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული პროექტების განხილვა, შეფასება. კომისიის სხდომას ესწრებოდა სს „ენერგო პრო ჯორჯიას მცხეთა მთაინაეთის ფილიალის დირექტორი მიხეილ ასლანიშვილი.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრები გაეცვნენ №55 კონკურსში მონაწილე კონკურსანტების შპს „გზაპროექტი“-სა და ინდ. მეწარმე „გიორგი არდაზიანი“-ს მიერ წარმოდგენილ წინაესკიზურ პროექტებს.

განხილვის შედეგად აღმოჩნდა, რომ შპს „გზაპროექტი"-ს წარმოდგენილი პროექტი, მეტად ინოვაციურია შედარებით, ინდ. მეწარმე „გიორგი არდაზიანი"-ს მიერ წარმოდგენილ პროექტთან და ითვალისწინებს ახალი ტექნოლოგიებით სისტემის მოწყობას, რომელიც იმუშავებს 20 წლის გარანტიით. პროექტში შემოთავაზებული ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების დანერგვის შედეგად შესაძლებელია გახარჯული ელექტროენერგიის წლიური ეკონომია, რომელიც შეადგენს 7-8 ათას ლარს და მისი შემდგომი ექსპლოატაციაც დაჯდება შედარებით იაფი. შპს „გზაპროექტი"-ს წარმომადგენლმა ბ-ნ დავით დვალმა აღნიშნა, რომ ყოველწლიური $CO_2$ ემისია შემცირდება 19,31 ტონით, რაც პროექტის გარემოსდაცვით ეფექტზე მიუთითებს.

აღნიშნლ პროექტში ასევე გათვალისწინებულია:

მექტექნიკური და ელექტრო ტექნიკური ნაწილები.

პროექტი შეესაბამება ისტორიული ქალაქის შესაბამის არქიტექტურულ იერსახეს.

გამტარის მექანიკური სიმტკიცე;

მოცემული დენის დროს საიმედო მუშაობის გარანტიებს.

ცვლადი ძაბვის ქსელის დასაშვები ძაბვაა 100ვ/277ვ

სხვადასხვა უბაზე განსაზღვრულია სხვადასხვა კვეთის სადენები.

პროექტი ითვალისწინებს ახალ სანათებს ,რომლებიც 10 ჯერ ზოგავენ მოხმარებულ ენერგიას, მათთვის საკმარისია (2,5 –6მმ$^2$) გამტარი, ამიტომ სხვადასხვა უბანზე გამოყენებილი იქნება ალუმინის კაბელები, ისინი მუშობენ 40$^0$c +65$^0$c დიაპაზონში და აქვთ მუქგადამცემის მაღალი ინდექსი და არ იწვევნ სტრობოსკოპულ ეფექტს.

პროექტში არის შედარებით მცირე რაოდენობის ქვესადგურები, და შედეგად იაფდება ქსელი.

ჯამში 8 კვ.სთ სიმძლავრე მივიღებთ.

პროექტში იქნება დაახლოვებით 140-170 სანათი (ანძა),

გასანათებელი ტრასის არაერთგვაროვნების გამო დამონტაჟდება სამი ტიპის სანათები (ანძები).

აღნიშნული პროექტის მიხედვით განხორციელებული ქსელის მოწყობის სამუშაოები დაჯდება დაახლოვებით 250 000 ლარი.

კომისიამ დაადგინა:

1 . კომისიამ დაადგინა, რომ შპს შპს „გზაპროექტი" გამოვლინდეს გამარჯვებულად და გაფორმდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით ხელშეკრულება, ხოლო შემდეგ გამარჯვებულმა წარმოადგინოს საპროექტო დასკვნა პროექტზე, და მოახდინოს სამუშაოების საავტორო ზედამხედველობა, რის შემდეგაც გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

კომისიის თავმჯდომარე: თ. აბაშიძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ლ. ტყემალაძე

კომისიის მდივანი: ს. მამისაშვილი

კომისიის წევრები: მ. სოხაშვილი

ი. ჯიშკარიანი

ზ. მარსაგიშვილი

გ. პაპაშვილი

ი. ციციშვილი

მ. თუხარელი

ი. ოდიშელიძე